ონის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის

ო ქ მ ი N 01

ქ. ონი **12 აგვისტო 2024 წელი**

ონის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესის კოორდინაციის სამუშაო ჯგუფის სხდომა გაიხსნა 2024 წლის 12 აგვისტოს.

სხდომას ესწრებოდნენ:

- სერგო ხიდეშელი - მუნიციპალიტეტის მერი, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;
- გიორგი ნოდარიშვილი - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარე;
- ლევან შერაზადიშვილი - მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი;
- თინათინ ბროლაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი;
- ვალერიან გობეჯიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- გივი ბენდიანიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- მანანა ჩაგელიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- მარიამ გობეჯიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ელენე ჩიკვილაძე - სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- თამარ ხომასურიძე - მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ალავერდ ხვედელიანი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- გიორგი მარკოიშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- გივი მეტრეველი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- მამუკა ყავლაშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
- ნინო მეტრეველი - სამუშაო ჯგუფის მდივანი, მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების უფროსი;

- სოფიო გუგეშაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

დღის წესრიგი:

ონის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის პროექტის ზღვრული მოცულობების წარდგენა.

მოისმინეს:

სხდომა გახსნა მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, თინათინ ბროლაშვილმა, რომელმაც ისაუბრა 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადების თაობაზე. დოკუმენტის პირველად ვარიანტში გათვალისწინებული იქნა ფინანსთა სამინისტროდან 2024 წლის 15 ივლისს მიღებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები, აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში გათვალისწინებული იქნება მერის წარმომადგენლების მიერ მოწოდებული მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები, რომელიც ემთხვევა ჩვენს მიერ დაგეგმილ პროექტებს. ეს დოკუმენტი პირველადი ვარიანტია, ზღვრული მოცულობების განსაზღვრისა და მოწონების შემდეგ დაზუსტებული იქნება საბიუჯეტო მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი პროგრამების, ქვეპროგრამების, ღონისძიებებისა და ოქტომბრის თვეში ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრების შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ აუცილებლად გაგრძელდება პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორიცაა გზების კაპიტალური რეაბილიტაცია, წყლის სისტემისა და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია, გარე განათების მოწყობა და ქალაქის მთავარი პრიორიტეტის - საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობის და ყოფილი საავადმყოფოს შენობის რეაბილიტაცია. ა(ა)იპ ორგანიზაციებში მოხდება ხელფასების 10% - იანი ზრდა.

განხილული იქნა ონის მუნიციპალიტეტის თითოეული პრიორიტეტზე განსაზღვრული პროგრამები. სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა გივი ბენდიანიშვილმა ისაუბრა ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ, რომლებიც იგეგმება მომავალი ოთხი წლის განმავლობაში. გასულ წელს დაწყებული სოფლებში მისასვლელი გზების კაპიტალური შეკეთება-ასფალტირების სამუშაოები გაგრძელდება სოფელ ლაგვანთა საკაო-მაჟიეთი-ხიდეშლები გზის ასფალტო-ბეტონით მოწყობა, სოფელ უწერაში გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის (II ეტაპი) საფარით, სოფელ ფარახეთის გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის (IV ეტაპი) საფარით, სოფელ შეუბნის გზის რეაბილიტაცია, სოფელ წმენდაურის გზის რეაბილიტაცია, კვლავ გაგრძელდება, ქ. ონში საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობა. მიმდინარე წელს შეძენილი პროექტები სოფლებში მისასვლელი გზების მოწყობაზე ეტაპობრივად გადანაწილდება მომავალ წლებში; ასევე განხორციელდება სოფლებში გარე განათების ქსელის მოწყობის რეაბილიტაცია; განხორციელდება საპროექტო და საზედამხედველო დოკუმენტაციის შესყიდვა, ასევე გაგრძელდება ქალაქის სანიაღვრე სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, ყურადღება მიექცევა უკვე განხორციელებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვას.

მერმა სერგო ხიდეშელმა გამოთქვა მოსაზრება, რომ პრიორიტეტულია გზების კაპიტალური რეაბილიტაცია პიპილეთი - ჟაშქვის, წედისი - სხანარის, ბარის, წოლის და გომის მიმართულებით,

სოფლებში კი სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია. მან ასევე ისაუბრა ამწე კალათის და ქუჩების გადასარეცხი მანქანის აუცილებლობაზე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გივი მეტრეველი გამოვიდა ინიციატივით, რომ ქალაქ ონში დაიგეგმოს შიდა ქუჩების ასფალტის საფარის მოწყობა და ასევე მოხდეს ორმული შეკეთება.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ალავერდ ხვედელიანმა აღნიშნა, რომ პრიორიტეტულია სოფელ კომანდელი - ხირხონისი -ქორთა - ქრისტესი - სხიერის მიმართულებით გზის რეაბილიტაცია.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი მარკოიშვილმა ითხოვა, რომ მოხდეს მდინარე ღარულის კალაპოტის ფორმირება და სოფელ ღარში დარჩენილი სოფლის შიდა გზების ასფალტირება.

სამუშაო ჯგუფმა დაადგინა:

სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ონის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტი (პირველადი ვარიანტი) დამუშავდება, წამოჭრილი წინადადებები შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული იქნება და განისაზღვრება ონის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი ზღვრული მოცულობებით.

თავმჯდომარე:	_____	სერგო ხიდეშელი
თანათავმჯდომარე:	_____	გიორგი ნოდარიშვილი
სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი:	_____	თინათინ ბროლაშვილი
მდივანი:	_____	ნინო მეტრეველი
სამუშაო ჯგუფის წევრი:	_____	ლევან შერაზადიშვილი
	_____	ვალერიან გობეჯიშვილი
	_____	გივი ბენდიანიშვილი
	_____	მანანა ჩაგელიშვილი
	_____	მარიამ გობეჯიშვილი
	_____	თამარ ხომასურიძე
	_____	სოფიო გუგეშაშვილი
	_____	ელენე ჩიკვილაძე
	_____	ალავერდ ხვედელიანი

_____ გიორგი მარკოიშვილი

_____ გივი მეტრეველი

_____ მამუკა ყავლაშვილი